საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 2267-03
17/08/2020

ქ. თბილისი

“2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 აგვისტოს N2232-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 13 აგვისტოს N2232-03 ბრძანების მე-5 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„5. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები, გარდა შემდეგი პროგრამებისა: გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა (ევროპული-

რუსული- აღმოსავლური), თანამედროვე საქართველოს ისტორია (ინგლისური ენის ტესტირება) და უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა რომანული ფილოლოგიის მიმართულებით, ჩაუტარდებათ დისტანციურად, პროგრამა ზუმისა და პლატფორმა moodle-ს გამოყენებით.“

2. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს.

გიორგი გვალია

დეკანი